ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 20-82

"30" დეკემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ღ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „ე.გ" და „ე.ვ" ქვეპუნქტების, 165-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ" საქართველოს კანონის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის, „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 და 25-ე მუხლების, „ტექნიკური რეგლამენტის „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების პერიოდულობის" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის N37 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასი თითოეულ ავტობუსზე, კატეგორიების მიხედვით, ყოველთვიურად განისაზღვრის:

ა) M2 კატეგორიისათვის - 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

ბ) M3 კატეგორიისათვის - 10 (ათი) ლარის ოდენობით.

2. დამტკიცდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების

ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის თანდართული წესი.

3. ამ დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული წესის მოთხოვნები გავრცელდეს „ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცებისა და ნებართვის გამცემის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის 22 ნოემბრის №31.02.1434 დადგენილების შესაბამისად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (ლოტების მომსახურებაზე) ნებართვების მფლობელებზე.

4. დაევალოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას უზრუნველყოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (ლოტების მომსახურებაზე) ნებართვების მფლობელებთან დადებულ „ქ. თბილისში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების შესახებ" ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანა ამ დადგენილების შესაბამისად.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრისა და ნებართვის გაცემისთვის კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2010 წლის 29 ოქტომბრის №11-71 გადაწყვეტილება;

ბ) „ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცებისა და ნებართვის გამცემის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის 22 ნოემბრის №31.02.1434 დადგენილება;

გ) „ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობისა და მასში გამარჯვებულის გამოვლენის კომისიის შემადგენლობისა და კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის 2 დეკემბრის №32.02.1497 დადგენილება.

6. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის პირველი იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესი

თავი I. ზოგადი ნაწილი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი განსაზღვრავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსის (შემდგომში – კონკურსი) ჩატარების, კონკურსში მონაწილეობისა და მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის გაცემის, ნებართვის გაცემის ფასის გადახდის და სანებართვო პირობების შესრულების პირობებს, აგრეთვე ნებართვის მოქმედების ვადას.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა – მგზავრთა გადაყვანა დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ავტობუსების (M2 და M3 კატეგორიები) მოძრაობების მარშრუტების შესაბამისად (შემდგომში – მომსახურება);

ბ) ავტობუსი – ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც განკუთვნილია მგზავრთა გადასაყვანად და რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, გარდა მძღოლის ადგილისა, 8-ს აღემატება (M2 და M3 კატეგორიები):

ბ.ა) M2 კატეგორიის – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის შიგა ტრანსპორტის კომიტეტის მიერ მიღებული „სატრანსპორტო საშუალებების კონსტრუქციის შესახებ“ შემაჯამებელი რეზოლუციის“ შესაბამისად ავტოსატრანსპორტო საშუალების კატეგორია, რომლის სრული (ნებადართული მაქსიმალური) მასა 5 ტონამდეა;

ბ.ბ) M3 კატეგორიის – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის შიგა ტრანსპორტის კომიტეტის მიერ მიღებული „სატრანსპორტო საშუალებების კონსტრუქციის შესახებ“ შემაჯამებელი რეზოლუციის“ შესაბამისად ავტოსატრანსპორტო საშუალების კატეგორია, რომლის სრული (ნებადართული მაქსიმალური) მასა 5 ტონაზე მეტია;

გ) ავტოსატრანსპორტო საშუალება (ავტომობილი) – მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომელიც, ჩვეულებრივ, გამოიყენება გზაზე ადამიანების გადასაყვანად ან ტვირთის გადასაზიდად ან/და ადამიანების გადასაყვანად ან ტვირთის გადასაზიდად განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალების გზაზე ბუქსირებისათვის;

დ) კონკურსში გამარჯვებული – კონკურსის მონაწილე ნებართვის მაძიებელი, რომელიც კომისიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ოქმი) საფუძველზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ გამოცხადდა გამარჯვებულად;

ე) ლოტი – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მომსახურების განხორციელება M2 ან M3 კატეგორიების ავტობუსებით;

ვ) მარშრუტი – პუნქტებს შორის (გაჩერების ადგილების მითითებით ან მათი მითითების გარეშე) ავტობუსის ან მიწისზედა ელექტროტრანსპორტის მიმოსვლისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული, წინასწარ დადგენილი გზასავალი;

ზ) მძღოლი – ფიზიკური პირი, რომელიც მართავს სატრანსპორტო საშუალებას;

თ) ნებართვა – კონკურსში გამარჯვებული ნებართვის მაძიებლისათვის ნებართვის გამცემის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე მინიჭებული უფლება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული ვადით განახორციელოს მომსახურება M2 ან M3 კატეგორიების ავტობუსებით;

ი) ნებართვის გამცემი – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა;

კ) ნებართვის მაძიებელი – ნებართვის მიღების მსურველი პირი;

ლ) ნებართვის მფლობელი – პირი, რომელსაც ნებართვის გამცემის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე მინიჭებული აქვს უფლება განახორციელოს ნებართვით განსაზღვრული უფლებამოსილება;

მ) ნებართვის გაცემის ფასი – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი ფასი M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებზე, თვეზე გაანგარიშებით;

ნ) პირი – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ფიზიკური ან იურიდიული პირი;

ო) საბანკო გარანტია – ნებართვის გამცემის მიერ განსაზღვრული კონკურსში მონაწილეობის, საკონკურსო ან სანებართვო პირობების შეუსრულებლობაზე მოსალოდნელი რისკის თავიდან აცილების მიზნით კონკურსის მონაწილის ან ნებართვის მფლობელის მიერ წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობადი გარანტირების მექანიზმის სახე. უცხოური ბანკიდან წარმოდგენის შემთხვევაში საბანკო გარანტია უნდა დამოწმდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული კომერციული ბანკის მიერ;

ო.ა) კონკურსში მონაწილეობის საბანკო გარანტია – წარდგენილ უნდა იქნეს ნებართვის მაძიებლის მიერ საკონკურსო ან სანებართვო პირობების საბანკო გარანტიის წარდგენის, ხელშეკრულების გაფორმების ან/და ნებართვის მიღების უზრუნველსაყოფად; ნებართვის მაძიებელს, რომელიც ვერ გაიმარჯვებს კონკურსში საბანკო გარანტია უბრუნდება. კონკურსში გამარჯვებულს საბანკო გარანტია უბრუნდება ნებართვის მიღების შემდეგ.;

ო.ბ) საკონკურსო პირობების საბანკო გარანტია – კონკურსში გამარჯვებულის მიერ ხელშეკრულების გაფორმებამდე საბანკო დაწესებულებიდან წარმოსადგენი გარანტია საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული ავტობუსებით მომსახურების დაწყების ან/და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობაზე საკონკურსო განცხადებით აღებული ვალდებულებისა და სანებართვო პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა ორი თვით უნდა აღემატებოდეს ამ ვალდებულებების შესრულების ვადას. საბანკო გარანტია ნებართვის მფლობელს უბრუნდება შესაბამისი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ;

ო.გ) სანებართვო პირობების საბანკო გარანტია – კონკურსში გამარჯვებულის მიერ ხელშეკრულების გაფორმებამდე საბანკო დაწესებულებიდან წარმოსადგენი გარანტია, რომელიც წარმოდგენილ უნდა იქნეს თუ არ არსებობს ნებართვის მფლობელის მიერ შესასრულებელი საკონკურსო პირობები, ხოლო მათი არსებობის შემთხვევაში, საკონკურსო პირობების საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე და შემდგომში ყოველწლიურად, არა უგვიანეს წინა საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე ორი თვით ადრე, ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად. საბანკო გარანტია ნებართვის მფლობელს უბრუნდება შემდგომი წლის საბანკო გარანტიის წარდგენის შემდეგ და საბოლოოდ, ნებართვის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ;

პ) საბანკო დაწესებულება – საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკი;

ჟ) სანებართვო მოწმობა – ნებართვის ფლობის დამადასტურებელი საბუთი;

რ) სანებართვო პირობები – კანონით ან კანონის საფუძველზე, ამ წესით დადგენილი მოთხოვნების და ინფორმაციის ამომწურავი ნუსხა, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს ნებართვის მაძიებელი ნებართვის მისაღებად და ნებართვით განსაზღვრული ქმედების განხორციელებისას;
ს) უწყებრივი სანებართვო რეესტრი – მონაცემთა სისტემური ერთობლიობა ნებართვების გაცემის, მათში ცვლილებების შეტანის და მათი გაუქმების თაობაზე;
ტ) ფორსმაჟორი - მოვლენები, რომლებიც ცდება მხარეთა გონივრულ კონტროლს, შეუძლებელია მისი თავიდან აცილება და ამასთან აფერხებს ან შეუძლებელს ხდის მხარის მიერ ვალდებულების შემდგომ შესრულებას და არ არის გამოწვეული იმ მხარის დაუდევარი მოქმედებით, რომლის ვალდებულების შესრულების უნარიც შეიზღუდა. ფორს–მაჟორად ჩაითვლება: ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, ქარიშხალი, მასობრივი ეპიდემიები და სხვა მასობრივი სტიქიური კატაკლიზმები, ტერორიზმი, ბლოკადა, ემბარგო, აჯანყება, სამოქალაქო არეულობა, საგანგებო მდგომარეობა, ომი, სამოქალაქო ომი, ლოკაუტი, გაფიცვა;
უ) ხელშეკრულება – დოკუმენტი, რომელიც ფორმდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და კონკურსში გამარჯვებულს შორის და რომლითაც ზუსტდება მხარეთა გარკვეული უფლებები და მოვალეობები.

მუხლი 3. ნებართვის გაცემის პირობები და წესები

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მომსახურების განსახორციელებლად აუცილებელია ნებართვის მიღება ამ წესის შესაბამისად.
2. ნებართვა გაიცემა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განსაზღვრულ ლოტებზე.
3. კონკურსი ცხადდება:
ა) M2 კატეგორიის ავტობუსებით მომსახურების განხორციელებისათვის ნებართვის გასაცემად;
ბ) M3 კატეგორიის ავტობუსებით მომსახურების განხორციელებისათვის ნებართვის გასაცემად.
4. ლოტზე გაიცემა ერთი ნებართვა.

თავი II. კონკურსის ორგანიზება, კომისია, კონკურსში მონაწილეობის პირობები

მუხლი 4. კონკურსის ორგანიზება

1. კონკურსის მიზანია ნებართვა გაიცეს ნებართვის იმ მაძიებელზე, რომელიც კონკურსის შედეგების შეჯამების შედეგად მიიღებს ყველაზე მაღალ ქულას და აიღებს ვალდებულებას დააკმაყოფილოს საკონკურსო ყველა სხვა დანარჩენი პირობა.
2. ნებართვის მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.
3. კონკურსის ორგანიზატორია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.
4. კონკურსის ჩატარების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სამართლებრივ აქტში მითითებული უნდა იყოს:
ა) ნებართვის სახეობა;
ბ) ნებართვის გამცემის დასახელება;
გ) ნებართვის მაძიებლის განცხადების მიღების დაწყებისა და დამთავრების თარიღი, დრო და ადგილი;
დ) კონკურსის ჩატარების თარიღი, დრო და ადგილი;
ე) კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის ვადა;
ვ) ინფორმაცია ლოტის შესახებ;

ზ) მომსახურების განხორციელებისათვის აუცილებელი ავტობუსების მინიმალური რაოდენობა;
თ) ნებართვის მოქმედების ვადა;
ი) ნებართვის გაცემის ფასი;
კ) საბანკო გარანტიის ოდენობა:
კ.ა) კონკურსში მონაწილეობისთვის;
კ.ბ) საკონკურსო პირობების შესრულებისთვის;
კ.გ) სანებართვო პირობების შესრულებისთვის;
ლ) სანებართვო პირობები;
მ) კონკურსში გამარჯვებულთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი;
ნ) განცხადების მიმღები პასუხისმგებელი პირის კოორდინატები;
ო) ყველა სხვა ინფორმაცია, რომელსაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ჩათვლის მიზანშეწონილად.
5. ინფორმაციას კონკურსის ჩატარების შესახებ მის ჩატარებამდე არაუგვიანეს ერთი თვისა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა აქვეყნებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და ავრცელებს ინტერნეტის ქსელით.

მუხლი 5. კომისია

1. კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ქმნის კომისიას.
2. კომისიის უფლებამოსილებას განეკუთვნება კონკურსში მონაწილეობაზე ნებართვის მაძიებლის წერილობითი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების შემოწმება, ნებართვის მაძიებლების შეფასება დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით და კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა.
3. კომისია დამოუკიდებელია. არავის არ აქვს უფლება მოახდინოს რაიმე ზეგავლენა ან/და ჩაერიოს მის საქმიანობაში.
4. კომისიას აქვს ბლანკი სახელწოდების აღნიშვნით.
5. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, კომისიის შემადგენლობაში არაუმეტეს 5 წევრის წარდგენის თხოვნით, წერილობით მიმართავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს.
6. კომისიის პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.
7. კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის სხვა წევრები.
8. კომისიის წევრთა მიმართ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-8 და 92-ე მუხლების მოთხოვნები.
9. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, რომელიც პასუხისმგებელია კომისიის მუშაობის ორგანიზებაზე. კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია ხელი მოაწეროს კომისიის საქმიანობას მიკუთვნებულ კორესპონდენციას.
10. კომისიის წევრებს შორის მოვალეობებს ანაწილებს და მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.
11. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ცვლის თავმჯდომარეს მისი არყოფნის შემთხვევაში.
12. კომისიის წევრი ვალდებულია:
ა) მონაწილეობა მიიღოს კომისიის სხდომებში და არ გამოტოვოს სხდომა არასაპატიო მიზეზით;
ბ) დაიცვას ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნები;

გ) დაიცვას კონკურსის მონაწილეთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის კონფიდენციალობა.
13. კომისიის წევრებს შეიძლება მიეცეთ აცილება საკითხის განხილვაში მონაწილეობისაგან, თუ ცნობილი გახდა ან დადასტურდება მათი პირდაპირი ან ირიბი კერძო დაინტერესება კომისიაში განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევებში კომისიის წევრს აქვს თვითაცილების უფლებაც.
14. კომისიის საქმიანობის ტექნიკურ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს კომისიის აპარატი, რომელიც ექვემდებარება უშუალოდ კომისიის თავმჯდომარეს და ასრულებს მის დავალებებს.
15. კომისიის აპარატის პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.
16. კომისიის საქმისწარმოებას უზრუნველყოფს კომისიის სხდომის მდივანი, რომელიც იმავდროულად არის კომისიის აპარატის უფროსი.
17. კომისიის სხდომები ტარდება საჯაროდ.
18. კომისია უფლებამოსილია, თუ მის სხდომებს ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.
19. კომისიის სხდომას სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება დაესწრონ სხვადასხვა საჯარო დაწესებულების წარმომადგენლები, ცალკეული დარგის ექსპერტები/სპეციალისტები ან/და სხვა მოწვეული პირები. კომისიის სხდომაზე დასასწრებად შეიძლება მოწვეულ იქნენ დაინტერესებული პირები.
20. დაინტერესებული პირი უფლებამოსილია დაესწროს სხდომებს და კომისიის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში მისცეს ახსნა-განმარტება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
21. კომისია ვალდებულია უზრუნველყოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა და დამსწრე დაინტერესებულ მხარეს მისცეს საქმესთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება.
22. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელიც არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.
23. კომისიის ოქმი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 6. საკონკურსო პირობები

1. კონკურსის ყველა მონაწილე სარგებლობს თანაბარი უფლებით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ კონკურსის ჩატარების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს ნებართვის გაცემასთან დაკავშირებულ ნებართვის გამცემის ხელთ არსებულ, საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულ ნებისმიერ ინფორმაციას.
3. კონკურსში მონაწილეობაზე განცხადებები მიიღება კონკურსის ჩატარების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სამართლებრივი აქტით დადგენილ მისამართზე და ვადაში.
4. ნებართვის მაძიებელმა კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით წერილობითი განცხადება უნდა წარადგინოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელზე, რომელიც დაუყონებლივ წარედგინება კომისიას. განცხადება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლითა და ამ წესის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შესაბამის მოთხოვნებს.
5. განცხადებას თან უნდა დაერთოს:
ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის – პარტნიორების სათანადო წესით გაფორმებული თანხმობა კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე, სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი და წესდების დამოწმებული ასლი, განცხადების წარმომდგენი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და იდენტიფიკაციის

დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; ინდივიდუალური მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი და იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი საბუთების ასლები; საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

გ) ცნობა სასამართლოდან იმის თაობაზე, რომ ნებართვის მაძიებლის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;

ე) ნებართვის მაძიებლისათვის საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი საგადასახადო დავალიანების შესახებ;

ვ) დოკუმენტაცია ლოტზე განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკურ-საექსპლუატაციო და სხვა მაჩვენებლების შესახებ, რომელიც წარდგენილი უნდა იყოს ნებართვის გამცემის მიერ დადგენილი ფორმით, როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული ვერსიით და მასში ასახული უნდა იყოს:

ვ.ა) მგზავრთა გადაყვანის განსახორციელებლად აუცილებელი ავტობუსების ჩამონათვალი (რაოდენობა, კატეგორია, მარკა, მოდელი, ტევადობა); ამასთან მითითებული უნდა იყოს თითოეული ავტობუსის გამოშვების წელი, EURO სტანდარტთან შესაბამისობა და კონდიცირების სისტემის არსებობა;

ვ.ბ) ნებართვის მაძიებლის საკუთრებაში/სარგებლობაში ავტობუსების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტები ან ნებართვის მაძიებლის საკუთრებაში/სარგებლობაში ავტობუსების მომავალში გადასვლაზე გაფორმებული ოფიციალურად დამოწმებული წინასწარი შეთანხმება ავტობუსების მწარმოებელთან ან ოფიციალური გაყიდვების აგენტთან ან ნებისმიერ სხვა პირთან ამ უკანასკნელის საკუთრებაში ავტობუსის არსებობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად;

ვ.გ) საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული ავტობუსებით მომსახურების განხორციელების დაწყების გრაფიკი;

ზ) საბანკო გარანტია კონკურსში მონაწილეობისთვის;

თ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ კონკურსის მონაწილე მოქმედებს ნებართვის მაძიებლის სახელით;

ი) ყველა სხვა დოკუმენტი, რომლებიც ამ წესის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ო" ქვეპუნქტის შესაბამისად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სამართლებრივი აქტით იქნება განსაზღვრული.

6. თუ ნებართვის მაძიებელი უცხოური კომპანია ან უცხო ქვეყნის მოქალაქეა, ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა" „ბ", „გ", „დ" და „ე" ქვეპუნქტებში განსაზღვრული ცნობები გაცემული უნდა იყოს შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ. ამასთან, მითითებული ცნობები ნებართვის გამცემს უნდა წარედგინოს სათანადო წესით აპოსტილით დამოწმებული ან ლეგალიზებული სახით, რომელსაც თან უნდა ერთოდეს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

7. ამ მუხლის მე-5 პუნქტში ჩამოთვლილი დოკუმენტები, განცხადების გარდა, წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქული კონვერტით, იმდაგვარად რომ დოკუმენტების ნახვა ლუქის დაზიანების გარეშე იყოს შეუძლებელი. კომისია არ ჩაიბარებს დაულუქავი კონვერტით წარდგენილ დოკუმენტაციას და მას წარდგენისთანავე უკან დაუბრუნებს წარმომდგენს

8. ნებართვის მაძიებელი განცხადებას წარადგენს მისთვის სასურველ ერთ ან მეტ ლოტზე, ხოლო გამარჯვებული გამოვლინდება თითოეულ ლოტზე ცალ-ცალკე.

9. ნებართვის მაძიებელმა, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს კონკურსში ერთზე მეტ ლოტზე, საბანკო გარანტია კონკურსში მონაწილეობისთვის უნდა წარადგინოს თითოეული ლოტისათვის ცალ-ცალკე.
10. დაუშვებელია კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დოკუმენტების მიწოდება საფოსტო გზავნილის სახით. საფოსტო გზავნილის სახით მიღებული განცხადება კომისიის მიერ არ განიხილება და გამომგზავნს უბრუნდება გზავნილზე მითითებულ მისამართზე გაუხსნელად.
11. კომისია განცხადების წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს ნებართვის მაძიებლის განცხადების შესაბამისობას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებთან და ამ მუხლის მე-5, მე-6, მე-8 და მე–9 პუნქტებთან მიმართებაში მოქმედებს იმავე კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად.
12. ნებართვის მაძიებელი ვალდებულია ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში კომისიის მიერ მითითებულ ვადაში წარადგინოს მოთხოვნილი დოკუმენტი ან მიაწოდოს კომისიას მოთხოვნილი ინფორმაცია, ასევე მოახდინოს წარდგენილ განცხადებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომების გასწორება.
13. მონაწილეს უფლება აქვს წერილობითი ფორმით უარი განაცხადოს კონკურსში მონაწილეობაზე, განცხადებების მიღებისათვის ნებართვის გამცემის მიერ განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე ნებისმიერ დროს. ასეთ შემთხვევაში მას დაუბრუნდება წარმოდგენილი საბანკო გარანტია კონკურსში მონაწილეობისთვის.
14. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსის პირობებით დადგენილ ვადაში არ იქნა წარდგენილი განცხადება ლოტზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, კონკურსი ითვლება ჩაშლილად. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ასეთ შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას კონკურსის ჩაშლილად გამოცხადების შესახებ, რის თაობაზეც ინფორმაცია ქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, აგრეთვე ვრცელდება ინტერნეტის ქსელით. განმეორებითი კონკურსი ჩატარდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სამართლებრივი აქტით, ამ წესის შესაბამისად.
15. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილია გადაავადოს განცხადების მიღების, კონკურსის ჩატარების ან/და გამარჯვებულის გამოვლენის თარიღი, რის შესახებაც ინფორმაცია ვრცელდება საჯაროდ.

მუხლი 7. საკონკურსო განცხადების განხილვაზე უარის თქმის საფუძვლები

საკონკურსო განცხადების განხილვაზე უარის თქმის საფუძვლებია:
ა) ნებართვის მაძიებლის მიერ ამ წესის მე-6 მუხლის მე-3, მე-10, მე-12 პუნქტების მოთხოვნების შეუსრულებლობა;
ბ) ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემების და/ან მათი დამადასტურებელი დოკუმენტაციის სიყალბე.

თავი III. კონკურსის ჩატარება

მუხლი 8. კონკურსის ჩატარება

1. გამარჯვებულის გამოვლენა ხდება ნებართვის მაძიებლების მიერ საკონკურსო განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის ან/და საკონკურსო განცხადებით შემოთავაზებული წინადადების შეფასებით, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
ა) ავტობუსის ტექნიკური მონაცემები;
ბ) საკუთრებაში მყოფი ან საბოლოო გამოსყიდვის უფლებით ლიზინგით/იჯარით აღებული ავტობუსების რაოდენობა;
გ) საკონკურსო პირობების საბანკო გარანტიის ოდენობა.

2. საერთო შეფასებაში თითეულ კრიტერიუმს აქვს თავისი ქულა და ამ კრიტერიუმის პრიორიტეტულობის კოეფიციენტი.
3. გამარჯვებულად ითვლება ის ნებართვის მაძიებელი, რომელიც შეფასების შედეგად მიიღებს ყველაზე მაღალ საბოლოო ქულათა ჯამს.
4. საბოლოო ქულათა ჯამი იანგარიშება ფორმულით:

$$S=0.7C + 0.15L + 0.15G$$

სადაც:
C არის ავტობუსების ტექნიკური მონაცემების შეფასების ქულა, ხოლო 0.7 ამ ქულის პრიორიტეტულობის კოეფიციენტი;
L არის საკუთრებაში მყოფი ან საბოლოო გამოსყიდვის უფლებით ლიზინგით/იჯარით აღებული ავტობუსების რაოდენობის შეფასების ქულა, ხოლო 0.15 ამ ქულის პრიორიტეტულობის კოეფიციენტი;
G არის საკონკურსო პირობების საბანკო გარანტიის შეფასების ქულა, ხოლო 0.15 ამ ქულის პრიორიტეტულობის კოეფიციენტი;
5. ავტობუსების ტექნიკური მონაცემების შეფასების ქულა იანგარიშება შემდეგნაირად:

$$C = \frac{Y_p}{Y_{pmax}} X \quad 100$$

სადაც:
Y_p არის შესაფასებელი ავტობუსების გამოშვების წლის, EURO სტანდარტთან შესაბამისობის და კონდიცირების სისტემის შეფასებისას მიღებული საშუალო ქულა, რომელიც იანგარიშება შემდეგნაირად:

$$Y_p = \frac{Y_1 + Y_2 + Y_3 + \ldots + Yn}{n}$$

Y_{pmax} არის შესაფასებელი ავტობუსების გამოშვების წლის, EURO სტანდარტთან შესაბამისობის და კონდიცირების სისტემის შეფასებისას ნებართვის მაძიებლებთა მიერ მიღებულ საშუალო ქულათა შორის მაქსიმალური ქულა;
Y_1, Y_2, Y_3 , ა.შ. და Yn არის შესაფასებელი თითეული ავტობუსის გამოშვების წლის, მისი EURO სტანდარტთან შესაბამისობის და კონდიცირების სისტემის შეფასებისას მიღებული ქულა;
n არის თითოეული ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი და კომისიის მიერ შეფასებული ავტობუსების რაოდენობა.
თითოეული ავტობუსის Y_1, Y_2, Y_3 , ა.შ. და Yn იანგარიშება შემდეგნაირად:

$$Yn = A_{year}+A_{euro}+A_{conditioner}$$

სადაც,
A_{year} – არის თითოეული ავტობუსის გამოშვების წლის შეფასების ქულა;
A_{euro} – თითოეული ავტობუსის EURO სტანდარტთან შესაბამისობის ქულა;
$A_{conditioner}$ – თითოეული ავტობუსის კონდიცირების სისტემის შეფასების ქულა.
6. თითეული ავტობუსის გამოშვების წლის შეფასება ხდება შემდეგი ქულების მიხედვით:
ა) 2010 წლის და მეტი – 60 ქულა;
ბ) 2005-დან 2010 წლამდე – 40 ქულა;
გ) 2000-დან 2005 წლამდე – 30 ქულა;
დ) 1995 -დან 2000 წლამდე – 10 ქულა;
ე) 1995 წლამდე – 0 ქულა
7. თითეული ავტობუსის EURO სტანდარტთან შესაბამისობა ფასდება შემდეგი ქულებით:
ა) შეესაბამება EURO სტანდარტს -20 ქულა
ბ) არ შეესაბამება EURO სტანდარტს - 0 ქულა.

8. თითეული ავტობუსის სალონის კონდიცირების სისტემა ფასდება შემდეგი ქულებით:
ა) სალონში კონდიცირების სისტემის არსებობა - 20 ქულა;
ბ) სალონის კონდიცირების სისტემის გარეშე - 0 ქულა.
9. საკუთრებაში მყოფი ან საბოლოო გამოსყიდვის უფლებით, ლიზინგით/იჯარით აღებული, ავტობუსების რაოდენობის შეფასების ქულა იანგარიშება შემდეგნაირად:

$$L = \frac{R_p}{R_{pmax}} X \quad 100$$

სადაც:
R_p არის ნებართვის მაძიებლის საკუთრებაში ან საბოლოო გამოსყიდვის უფლებით ლიზინგით/იჯარით აღებული ავტობუსების რაოდენობა;
R_{pmax} არის ნებართვის მაძიებელთა შორის მათ საკუთრებაში ან მათ მიერ საბოლოო გამოსყიდვის უფლებით ლიზინგით/იჯარით აღებული ავტობუსების მაქსიმალური რაოდენობა.
10. იმ შემთხვევაში თუ ნებართვის მაძიებლის მიერ შემოთავაზებული ყველა ავტობუსი არის მის საკუთრებაში ან საბოლოო გამოსყიდვის უფლებით ლიზინგით/იჯარით აღებული, მაშინ მისი $R_p = R_{pmax}$
11. საკონკურსო პირობების საბანკო გარანტიის შეფასების ქულა იანგარიშება შემდეგნაირად:

$$G = \frac{M_p}{M_{pmax}} X \quad 100$$

სადაც:
M_p არის ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო პირობების საბანკო გარანტიის ოდენობა;
M_{pmax} არის ნებართვის მაძიებლებლთა მიერ წარმოდგენილი საკონკურსო პირობების საბანკო გარანტიების ოდენობათა შორის ყველაზე დიდი ოდენობა.
12. იმ შემთხვევაში, როცა ნებართვის მაძიებელს საკუთრებაში ან საბოლოო გამოსყიდვის უფლებით ლიზინგით/იჯარით აქვს მიღებული შესაფასებლად წარმოდგენილი ავტობუსების მთლიანი რაოდენობა და ქ. თბილისის ტერიტორიაზე საკუთრებაში ან სარგებლობაში აქვს მინიმუმ 1 საავტობუსო პარკი, სადაც მოემსახურება მის მიერ შემოთავაზებულ ავტობუსებს, მაშინ მისი $M_p = M_{pmax}$
13. თუ ორი ან მეტი ნებართვის მაძიებელი შეფასების შედეგად მიიღებს თანაბარ საბოლოო ქულათა ჯამს, უპირატესობა მიენიჭება და გამარჯვებულად გამოვლინდება ის ნებართვის მაძიებელი, რომელმაც მიიღო უფრო მაღალი ქულა მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი კრიტერიუმების შეფასებისას, ხოლო თუ ამ შეფასებათა ქულათა ჯამიც თანაბარია, უპირატესობა მიენიჭება და გამარჯვებულად გამოვლინდება ის ნებართვის მაძიებელი, რომელმაც მეტი ქულა მიიღო მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი კრიტერიუმის შეფასებისას.
14. კონკურსში გამარჯვებულად არ გამოვლინდება ის ნებართვის მაძიებელი, რომლის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი ავტობუსების გამოშვების წლის, EURO სტანდარტთან შესაბამისობის და კონდიცირების სისტემის შეფასებისას მიღებული საშუალო ქულა (Y_p) არის 10 ან 10–ზე ნაკლები.
15. დაუშვებელია მომსახურების გასაწევად საკონკურსო განაცხადით ავტობუსის შემოთავაზება თუ:
ა) ავტობუსი არ აკმაყოფილებს „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს;

ბ) სალონში ჰაერის ვენტილაცია ან გათბობა არ ხორციელდება;
გ) გადაკეთებულია მგზავრთა გადასაყვან ავტოსატრანსპორტო საშუალებად ან/და კუსტარულად აქვს დამატებული სავარძლები მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გადაკეთების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევით.
16. ამ მუხლის მე–15 პუნქტით გათვალისწინებულ რომელიმე შემთხვევაში შემოთავაზებული ავტობუსის შეფასება კომისიის მიერ არ განხორციელდება და ქულებით შეფასდება ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი სხვა ავტობუსები და თუ მათი რაოდენობა შესაბამისობაშია სანებართვო პირობებთან, ნებართვის მაძიებელი აგრძელებს კონკურსში მონაწილეობას. თუ არ ფასდება ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი არცერთი ავტობუსი ან შესაფასებელი ავტობუსების რაოდენობა არ არის შესაბამისობაში ლოტით განსაზღვრულ პირობებთან, მაშინ ნებართვის მაძიებელი ითვლება კონკურსიდან მოხსნილად.
17. ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ ფასდება და ნებართვის მაძიებელი არ შეიძლება გამოცხადდეს გამარჯვებულად თუ:
ა) წარმოდგენილი საკონკურსო განცხადება არ შეესაბამება სანებართვო პირობებს;
ბ) ნებართვის მაძიებელს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით ჩამორთმეული აქვს შესაბამის სანებართვო სფეროში საქმიანობის უფლება.

მუხლი 9. არშემდგარი კონკურსი

კონკურსი ითვლება არშემდგარად და კომისიის მიერ ფორმდება სათანადო ოქმი:
ა) თუ კონკურსის მოწყობის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ დადგენილ ვადაში არ იქნა წარდგენილი არც ერთი განცხადება, ან ამ წესის შესაბამისად ვერ გამოვლინდა გამარჯვებული;
ბ) ყველა წარდგენილი განცხადება დატოვებულ იქნა განუხილველად.

მუხლი 10. კონკურსის შედეგების შეჯამება

1. კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება თითოეულ ლოტზე ცალ-ცალკე.
2. კომისიის გადაწყვეტილება კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ ფორმდება ოქმით, რომელსაც თან ერთვის კომისიის წევრთა წერილობითი შეფასებები.
3. ხმის მიცემა წარმოებს ღია კენჭისყრის ფორმით. ხმის მიცემა წარმომადგენლის მეშვეობით დაუშვებელია.
4. კომისიის წევრს უფლება არ აქვს თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან ან ხმა მისცეს იმ საკითხს, რომლის განხილვაშიც არ იღებდა მონაწილეობას.
5. ოქმი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობა. კომისიის თითოეულ წევრს აქვს მხოლოდ ერთი ხმის უფლება. ხმების თანაბარი გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
6. ოქმში უნდა მიეთითოს:
ა) კომისიის დასახელება;
ბ) სხდომის ჩატარების თარიღი, დრო და ადგილი;
გ) სხდომის თავმჯდომარის და წევრების ვინაობა;
დ) სხდომაში მონაწილე სხვადასხვა საჯარო დაწესებულების წარმომადგენლების, ცალკეული დარგის ექსპერტების/სპეციალისტების ან/და სხვა მოწვეული, აგრეთვე დაინტერესებული პირების ვინაობა (მათი არსებობის შემთხვევაში);
ე) განხილვის საგანი;
ვ) სხვადასხვა საჯარო დაწესებულების წარმომადგენლების, ცალკეული დარგის ექსპერტების/სპეციალისტების ან/და სხვა მოწვეული, აგრეთვე დაინტერესებული პირების ახსნა-განმარტებების აღწერა;
ზ) კენჭისყრის შედეგები;

თ) მიღებული გადაწყვეტილება.
7. კომისიის ოქმი კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ ცხადდება საჯაროდ და კონკურსის შედეგების შესახებ კომისიის ოქმი ეგზავნება კონკურსის ყველა მონაწილეს და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას.
8. კონკურსში გამარჯვებულს, ნებართვის მიღებამდე, უფლება არა აქვს განახორციელოს აღნიშნული საქმიანობა.
9. ნებართვის მაძიებელს, რომელიც ვერ გაიმარჯვებს, კონკურსში წარმოდგენილი კონკურსში მონაწილეობის საბანკო გარანტია უბრუნდება უკან.

მუხლი 11. კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება
1. კომისიის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ყველა სადავო საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
2. კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. კომისიის გადაწყვეტილებაზე სარჩელის წარდგენა სასამართლოში არ აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის მოქმედებას, გარდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 12. განმეორებითი კონკურსი
1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ნიშნავს განმეორებით კონკურსს იმ შემთხვევაში, თუ პირველი კონკურსის დროს არ მოხდება ლოტზე გამარჯვებულის გამოვლენა ამ წესის შესაბამისად.
2. განმეორებითი კონკურსი ცხადდება ამ წესის შესაბამისად.

მუხლი 13. სადავო საკითხების მოგვარება
კონკურსთან დაკავშირებული ყველა სადავო საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი IV. ნებართვის გაცემა

მუხლი 14. ნებართვის გაცემა
1. ნებართვა გაიცემა კონკურსში გამარჯვებულ ნებართვის მაძიებელზე, თითოეულ ლოტზე ცალ-ცალკე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადების თაობაზე მიღებული სამართლებრივი აქტით და ნებართვის გამცემსა და კონკურსში გამარჯვებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.
2. თუ კონკურსში გამარჯვებული უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირი ან უცხო ქვეყნის მოქალაქეა, მაშინ კონკურსში გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა, ხელშეკრულების გაფორმებამდე, მისი 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით, საქართველოში უნდა დააფუძნოს საწარმო, რომელზეც გაიცემა ნებართვა.
3. კონკურსში გამარჯვებული ან ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოში დაფუძნებული საწარმო ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებამდე ნებართვის გამცემს წარუდგინოს საკონკურსო პირობების საბანკო გარანტია. საქართველოში დაფუძნებული საწარმოს მიერ საკონკურსო პირობების საბანკო გარანტია შეიძლება გაცემული იყოს მისი დამფუძნებელი კონკურსში გამარჯვებული იურიდიული პირის სახელზე.
4. კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილების მიღებიდან 30 სამუშაო დღის განმავლობაში კონკურსში გამარჯვებულს ან ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოში დაფუძნებულ

საწარმოსა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას შორის ფორმდება ხელშეკრულება. სახელშეკრულებო პირობები განისაზღვრება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ და ქვეყნდება წინასწარ, კონკურსის გამოცხადებისას.
5. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ნებართვის მფლობელს გადაეცემა სანებართვო მოწმობა და იგი უფლებამოსილია განახორციელოს მომსახურება.
6. დადგენილ ვადაში საქართველოში საწარმოს არდაფუძნების, საკონკურსო პირობების შესრულებაზე საბანკო გარანტიის წარუდგენლობის, ხელშეკრულების გაუფორმებლობის ან ნებართვის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, კონკურსში გამარჯვებულს არ მიეცემა ნებართვა. ასეთ შემთხვევაში, კონკურსში მონაწილეობის საბანკო გარანტია კონკურსში გამარჯვებულს უკან არ უბრუნდება და ნებართვის გამცემი უფლებამოსილია გარანტისაგან მოითხოვოს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა.
7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, კონკურსი ითვლება ჩაშლილად. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ასეთ შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას კონკურსის ჩაშლილად გამოცხადების შესახებ, რის თაობაზეც ინფორმაცია ქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, აგრეთვე ვრცელდება ინტერნეტის ქსელით. განმეორებითი კონკურსი ჩატარდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სამართლებრივი აქტით ამ წესის შესაბამისად, არაუგვიანეს 6 თვის ვადაში.

მუხლი 15. ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები

1. ნებართვის გაცემაზე უარის თქმა შეუძლია ნებართვის გამცემს.
2. ნებართვის გამცემი არ გასცემს ნებართვას, თუ:
ა) ნებართვის მაძიებელი არ არის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადებული;
ბ) ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადება დატოვებული იქნა განუხილველად;
გ) ამ წესის მე–14 მუხლის მე–6 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში.
3. უარი ნებართვის გაცემაზე უნდა იყოს დასაბუთებული და ეცნობოს ნებართვის მაძიებელს.

მუხლი 16. ნებართვის გაცემაზე უარის გასაჩივრება

ნებართვის გამცემის გადაწყვეტილება ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 17. სანებართვო პირობები. ნებართვის მფლობელის უფლება–მოვალეობები

1. ნებართვის მფლობელი ვალდებულია დაიცვას შემდეგი სანებართვო პირობები:
ა) ნებართვის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში უზრუნველყოს მომსახურების გაწევა დამტკიცებული მოძრაობის მარშრუტებით და მათზე დადგენილი რაოდენობის ავტობუსებით;
ბ) მოძრაობის მარშრუტების შეცვლის (სამარშრუტო სქემის შეცვლის, მარშრუტის გაუქმების, მარშრუტის დამატების) შემთხვევაში, თუ ეს არ იწვევს ავტობუსების საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული საერთო რაოდენობის გაზრდას, ცვლილების შესახებ ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის დღიდან უზრუნველყოს მომსახურების განხორციელება შეცვლილი მარშრუტების შესაბამისად;
გ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებულ შემთხვევაში, ასევე მოძრაობის მარშრუტების შეცვლის გარეშე მარშრუტებისთვის დადგენილი ავტობუსების საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, მომსახურების განხორციელება უზრუნველყოს ცვლილების შესახებ ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში, ხოლო მარშრუტების შეცვლის გარეშე მარშრუტებისთვის დადგენილი ავტობუსების საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული რაოდენობის შემცირების შემთხვევაში, მომსახურების განხორციელება

უზრუნველყოს ცვლილების შესახებ ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის დღიდან;

დ) კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადების დღიდან საკონკურსო განაცხადით წარმოდგენილი გრაფიკის შესაბამისად, მაგრამ არაუგვიანეს 1 წლის განმავლობაში მომსახურების განახორციელება დაიწყოს და ნებართვის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში განაგრძოს მხოლოდ მისი საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული ტექნიკური მონაცემების ავტობუსებით. საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის შენარჩუნების მიზნით შეცვალოს ავტობუსი, მისი კატეგორიის, სახეობის, სტანდარტების, ამ წესისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული ტექნიკური მონაცემების შეუცვლელად და ეს ცვლილებები დაუყოვნებლივ აცნობოს ნებართვის გამცემს; ავტობუსის შეცვლის დროს შეცვალოს ის არაუმეტეს იმ ხნოვანების ავტობუსით, როგორიც იყო შესაცვლელი ავტობუსი კონკურსის ჩატარების დღისთვის;

ე) ნებართვის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში საკუთრებაში ან ოფიციალურად დამოწმებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობაში იყოლიოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებით დამტკიცებული მოძრაობის მარშრუტების შესაბამისად ლოტისათვის განსაზღვრული ყოველდღიურად მომუშავე ავტობუსების მაქსიმალური რაოდენობა;

ვ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ნებართვის გამცემის მიერ ნებართვის გაცემის დროს დადგენილი ფერის ავტობუსებით;

ზ) საკონკურსო განცხადებაში განსაზღვრული ავტობუსებით მომსახურების გაწევის დაწყებამდე, მომსახურება განახორციელოს ავტობუსებით, რომლებიც შეიძლება არ შეესაბამდებოდეს სხვა სანებართვო პირობებს, მაგრამ სულ მცირე ვარგისი უნდა იყოს მგზავრის გადაყვანისთვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

თ) მომსახურების განხორციელებისას ავტობუსების შენახვა-ექსპლუატაციის წესების, უსაფრთხოების ტექნიკის და გარემოს დაცვის მოთხოვნების შესრულების მიზნით უზრუნველყოს უზრუნველყოს „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონი მე–10, მე–11, მე–12 და მე–18 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით, 21-ე მუხლის მე–13 და მე-14 პუნქტებით, მე-16 მუხლის მე–4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე–2 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით, 46-ე მუხლის მე-8 პუნქტის და მე-10 პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით, ასევე ავტობუსების ტექნიკური მდგომარეობის საქართველოს კანონმდებლობით მოქმედ ნორმებთან სტაბილური შესაბამისობის შენარჩუნების მიზნით დაიცვას საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №12 ბრძანებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისის წესი"; კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შემთხვევაში უზრუნველყოს ამ პუნქტში მითითებული მოთხოვნების დაცვა, მიუხედავად კანონმდებლობის დასახელებისა და მუხლისა, სადაც იქნება გათვალისწინებული აღნიშნული პირობები;

ი) უზრუნველყოს ხაზზე გაშვებისას თითოეული ავტობუსის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა;

კ) ნებართვის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში ქ. თბილისის ტერიტორიაზე საკუთრებაში ან სარგებლობაში იქონიოს თითოეული ლოტისთვის მინიმუმ 1 საავტობუსო პარკი. უზრუნველყოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებით დამტკიცებული ლოტისათვის განსაზღვრული ყოველდღიურად მომუშავე ავტობუსების მაქსიმალური რაოდენობის არასამუშაო დროს საავტობუსო პარკში დგომა;

ლ) დაიცვას მგზავრთა გადაყვანის და ბარგის გადაზიდვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესები;

მ) თანამშრომელთა სამუშაოზე მიღებისას დაიცვას მათი პროფესიული შესატყვისობის მოთხოვნები;
ნ) უზრუნველყოს ნებართვის გამცემთან შეთანხმებული უნიფორმით მომსახურების განმახორციელებელი ყველა მძღოლის შემოსვა;
ო) არ დაუშვას უშუალოდ მარშრუტზე მოძრაობისას მძღოლის მიერ თამბაქოს მოხმარება;
პ) აანაზღაუროს მომსახურების განხორციელებისას მგზავრისთვის მიყენებული ზიანი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზიანი გამოწვეულია მგზავრის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით;
ჟ) უზრუნველყოს მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების აღჭურვა დადგენილი ნიმუშების სვლაგეზის მაჩვენებელი ფირნიშნებით (ელექტრონული ტაბლოებით);
რ) მგზავრისათვის თვალსაჩინო ადგილას ავტობუსში განათავსოს ტაბლო მძღოლის სურათის, სახელისა და გვარის, ნებართვის მფლობელის დასახელების, ცხელი ხაზის ნომრის და მგზავრობის ღირებულების აღნიშვნით;
ს) აწარმოოს ავტობუსების ყოველდღიური სადისპეტჩერო აღრიცხვა-რეგულირება;
ტ) დაიცვას საწყის და საბოლოო გაჩერებებზე დგომის წესები, სისუფთავის და ჰიგიენური ნორმები, ნებართვის გამცემის მოთხოვნით, ასევე საჭიროების შემთხვევაში, ნებართვის გამცემთან შეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განათავსოს ბიოტუალეტები;
უ) უზრუნველყოს მარშრუტის მუშაობის დაწყება-დამთავრების დროისა და ინტერვალის დაცვა;
ფ) არ დაუშვას ავტოსატრანსპორტო საშუალების დამამზადებლის მიერ დადგენილ მგზავრთტევადობაზე მეტი მგზავრის გადაყვანა;
ქ) მომსახურების გაწევა განახორციელოს დადგენილი ტარიფის (თუ მომსახურების გაწევა ეკონომიკის რეგულირებადი სფერო იქნება) ან მის მიერ განსაზღვრული მგზავრობის ფასის (თუ მომსახურების გაწევა ეკონომიკის რეგულირებადი სფერო არ იქნება) შესაბამისად;
ღ) მომსახურების განხორციელების დაწყებამდე ნებართვის გამცემს მიაწოდოს ინფორმაცია მგზავრობის ფასის შესახებ. შემდგომში მგზავრობის ფასის შეცვლის უფლება ნებართვის მფლობელს ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მინიმუმ 1 თვით ადრე აცნობებს ამის შესახებ ნებართვის გამცემს;
ყ) უზრუნველყოს მარშრუტზე მომუშავე ავტობუსებში გადახდის ელექტრონული აღმრიცხველი საშუალებების დამონტაჟება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც მგზავრისთვის უნდა იძლეოდეს დადგენილი შეღავათიანი ტარიფით/ფასით სარგებლობის შესაძლებლობას და ახდენდეს მათ აღრიცხვას;
შ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ღ" ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნის შესრულების შემდგომ მომსახურების გაწევა განახორციელოს ნებართვის გამცემის მიერ დადგენილი შეღავათების გათვალისწინებით;
ჩ) აწარმოოს მგზავრთა საჩივრების აღრიცხვა, მოაწყოს ცხელი ხაზი;
ც) ავტობუსზე რეკლამა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განათავსოს მხოლოდ ნებართვის გამცემის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში;
ძ) გადაიხადოს ნებართვის გაცემის ფასი და დარიცხული პირგასამტეხლო ამ აქტით დადგენილი წესით;
წ) ნებართვის მფლობლის მძღოლების ან სხვა ტექნიკური პერსონალის გაფიცვის ან ადმინისტრაციის ლოკაუტის შემთხვევაში არ დაუშვას მომსახურების სრული შეწყვეტა რომელიმე მარშრუტზე 3 კალენდარულ დღეზე მეტ ხანს, ხოლო მომსახურების შეზღუდვა 5 დღეზე მეტ ხანს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნებართვის გამცემს წინასწარ 2 დღით ადრე წერილობით შეატყობინებს მოსალოდნელი გაფიცვის ან ლოკაუტის შესახებ;
ჭ) ნებართვის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში უზრუნველყოს ნებართვის გამცემისთვის სანებართვო პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად დადგენილ ოდენობაზე საბანკო გარანტიის წარდგენა;

ხ) ნებართვის გამცემს ნებართვის გაუქმების შესახებ მოთხოვნა წარუდგინოს მინიმუმ 12 თვით ადრე;

ჯ) არ დაუშვას ნებართვის გამცემის წინასწარი წერილობითი თანხმობისა და ნებართვის გამცემის მიერ დადგენილი პირობების გარეშე ნებართვის სხვა პირისათვის ნებისმიერი ფორმით გადაცემა;

ჰ) ნებართვის გამცემის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ გაასხვისოს ნებართვის მფლობელი იურიდიული პირის წილი;

ჰ^{1}) ხელი შეუწყოს უფლებამოსილ შემმოწმებელს მუშაობაში;

ჰ^{2}) წარუდგინოს ნებართვის გამცემს ყველა საჭირო ინფორმაცია ნებართვის გამოყენების შესახებ ნებართვის გამცემის მიერ დაწესებული მოთხოვნების შესაბამისად;

ჰ^{3}) დაუყოვნებლივ აცნობოს ნებართვის გამცემს ნებართვის მფლობელი იურიდიული პირის წილზე ან მის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) წარმოშობის შესახებ, ასევე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ნებართვის მფლობელი იურიდიული პირის ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ;

ჰ^{4}) სრულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

2. ნებართვის მფლობელს უფლება აქვს:

ა) ფორსმაჟორის ან სხვა შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია მარშრუტის დაცვა, ნებართვის გამცემის თანხმობით და მის მიერ დადგენილი სქემით, დროებით შეცვალოს მუშაობის რეჟიმი, მოძრაობის განრიგი, შეწყვიტოს ან გარკვეულ მონაკვეთზე შეცვალოს დადგენილი მარშრუტი; თუ შეუძლებელია ნებართვის გამცემის თანხმობის მიღება, მომსახურებაში განხორციელებული ცვლილების შესახებ აცნობოს ნებართვის გამცემს დაუყოვნებლივ;

ბ) ნებართვის გამცემს წარუდგინოს წინადადებები მომსახურების უკეთესად ორგანიზების შესახებ;

გ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებებით.

3. ნებართვის მფლობელი ვალდებულია:

ა) მძღოლად დასაქმება შესთავაზოს ნებართვის გაცემამდე მომსახურების განმახორციელებელ მძღოლებს იმავე პირობებით, რასაც შესთავაზებს მესამე პირებს. მათი თანხმობის შემთხვევაში, ნებართვის მფლობელი ვალდებულია უპირატესად დაასაქმოს ისინი;

ბ) ნებართვის მიღებისთანავე და შემდგომში პერიოდულად ავტობუსის შეცვლის შემთხვევაში ნებართვის გამცემს წარუდგინოს იმ ავტობუსების ჩამონათვალი, მათი სარეგისტრაციო მონაცემების მითითებით, რომლითაც ის განახორციელებს მომსახურებას.

4. სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების შემთხვევაში, ნებართვის მფლობელი ვალდებულია ნებართვის გამცემს წერილობით აცნობოს ამის თაობაზე და წარუდგინოს სათანადო დოკუმენტები შესაბამისი ცვლილების განხორციელებიდან 7 დღის განმავლობაში.

მუხლი 18. ნებართვის გამცემის უფლება-მოვალეობები

ნებართვის გამცემი:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით გასცემს ნებართვას, შეაქვს მასში ცვლილება ან აუქმებს მას;

ბ) აწარმოებს უწყებრივ სანებართვო რეესტრს;

გ) გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში აქვეყნებს ინფორმაციას ნებართვის გაცემის, მასში ცვლილების შეტანის ან მისი გაუქმების შესახებ;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ინახავს ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ამ წესის შესაბამისად ახორციელებს კონტროლს ნებართვის მფლობელის მიერ სახელშეკრულებო და სანებართვო პირობების შესრულებაზე;
ვ) ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო და სახელშეკრულებო პირობების დარღვევისას მოქმედებს ამ წესისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
ზ) ფორსმაჟორის შემთხვევაში, მარშრუტზე საგზაო მოძრაობის პირობების გაუარესების, მგზავრთნაკადის მნიშვნელოვანი შემცირების ან/და სხვა გაუთვალისწინებელი, მარშრუტისათვის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შემშლელი პირობების შემთხვევაში, ნებართვის მფლობელის შეტყობინების საფუძველზე განიხილავს და საჭიროების შემთხვევაში ოფიციალურად გასცემს თანხმობას მარშრუტის ცვლილებისა და/ან მასზე ყოველდღიურად მომუშავე სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობის დროებით შემცირების თაობაზე;
თ) ვალდებულია დაადგინოს და თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ავტობუსების მინიმალური რაოდენობა, რომლითაც ნებართვის მფლობელს ნებართვის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში ექნება მომსახურების განხორციელების შესაძლებლობა.

მუხლი 19. ნებართვის ამოქმედება და მოქმედების ვადა

1. ნებართვა გაიცემა ერთჯერადად, 20 წლის ვადით.
2. ნებართვა ძალაშია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მის გაუქმებამდე.
3. ნებართვის გამცემის მიერ განსაზღვრულ ვადაში ნებართვის გაცემის ან ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში, ნებართვის მაძიებელს შეუძლია განახორციელოს ნებართვით გათვალისწინებული ქმედება მხოლოდ ხელშეკრულების გაფორმებისა და სანებართვო მოწმობის მიღების შემდეგ.
4. ნებართვის მფლობელი უფლებამოსილია სანებართვო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში მოწმობის აღდგენამდე განახორციელოს სანებართვო ქმედება შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე.
5. ნებართვის გამცემი ვალდებულია კონკურსში გამარჯვებულის მიერ ამ წესით დადგენილი ყველა პირობის შესრულების შემთხვევაში გასცეს შესაბამისი სანებართვო მოწმობა.

მუხლი 20. სანებართვო მოწმობის ფორმა და რეკვიზიტები, მათი გამოყენება და აღრიცხვა-ანგარიშგება

სანებართვო მოწმობის ფორმა და რეკვიზიტები, მათი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი მტკიცდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

მუხლი 21. სანებართვო მოწმობის დაკარგვა ან დაზიანება

1. სანებართვო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ნებართვის მფლობელი ნებართვის გამცემს მიმართავს წერილობითი განცხადებით სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემის თაობაზე.
2. განცხადების მიღებიდან 2 დღის ვადაში ნებართვის გამცემი გასცემს სანებართვო მოწმობის დუბლიკატს და შესაბამისი ინფორმაცია შეაქვს უწყებრივ სანებართვო რეესტრში.
3. სანებართვო მოწმობის დუბლიკატს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც მის დედანს.
4. სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემის ფასის ოდენობაა 10 ლარი, რომელიც გადაიხდევინება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე.

5. ნებართვის მოწმობის დუბლიკატის მიმღები პირი ვალდებულია სანებართვო მოწმობის დუბლიკატის ფასის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი წერილობით განცხადებასთან ერთად წარუდგინოს ნებართვის გამცემს.

თავი V. ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესი

მუხლი 22. ნებართვის გაცემის ფასის გადამხდელი

ნებართვის გაცემის ფასის გადამხდელია ნებართვის მფლობელი.

მუხლი 23. ნებართვის გაცემის ფასის გამოანგარიშების წესი

ნებართვის გაცემის ფასი გამოიანგარიშება ყოველთვიურად მთლიანი ლოტისათვის განსაზღვრული მარშრუტებისთვის დადგენილი ყოველდღიურად მომუშავე ავტობუსების მაქსიმალური რაოდენობის გადამრავლებით ნებართვის გაცემის ფასის განაკვეთზე.

მუხლი 24. ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესი და ვადები

1. ნებართვის გაცემის ფასი გადაიხდევინება ყოველთვიურად, ამ წესის 23-ე მუხლის შესაბამისად, გადახდის თვის 10 რიცხვამდე.
2. მარშრუტებზე დადგენილი ავტობუსების რაოდენობის შემცირების შემთხვევაში, შემცირებული ფასი გადაიხდება ცვლილების განხორციელების შემდეგი კალენდარული თვიდან.
3. მარშრუტებზე დადგენილი ავტობუსების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში ავტობუსების გაზრდილ რაოდენობაზე ფასი გადაიხდევინება ცვლილების განხორციელების თვეზეც სრულად, მიუხედავად ცვლილების განხორციელების კონკრეტული დღისა. ამასთან, სხვაობა გაზრდილ ფასსა და წინა ფასს შორის გადაიხდება შემდეგი თვის ფასთან ერთად.
4. ნებართვის გაცემის ფასის ამ მუხლში მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ნებართვის მფლობელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადაუხდელი თანხის 0.1 %–ის ოდენობით.
5. ნებართვის გაცემის ფასის/პირგასამტეხლოს გადახდა ნებართვის მფლობელის მიერ წარმოებს საბანკო დაწესებულებაში და მთლიანად ჩაირიცხება ნებართვის გამცემის მიერ მითითებულ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე.
6. საბანკო მომსახურების ხარჯებს გადაიხდის ნებართვის მფლობელი.
7. ნებართვის ფასი სრულად გადაიხდევინება, მიუხედავად იმისა, საანგარიშო თვის განმავლობაში ნებართვის მფლობელმა განახორციელა თუ არა მომსახურება.

მუხლი 25. ნებართვის გაცემის ფასის შეცვლა

1. ნებართვის გაცემის ფასი არ შეიძლება გაიზარდოს ნებართვის ამოქმედებიდან ხუთი წლის განმავლობაში.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, ნებართვის გაცემის ფასი შეიძლება გაიზარდოს, თუ ინფლაციის საშუალო დონე ბოლო 3 წლიანი დროის მონაკვეთში აღემატება 6 პროცენტს.
3. ფორსმაჟორული გარემოების გამო (გარდა ლოკაუტისა და გაფიცვისა) მომსახურების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ნებართვის გაცემის ფასის გადახდა რეგულირდება ხელშეკრულებით.

მუხლი 26. ნებართვის გაცემის ფასის გადამხდელის პასუხისმგებლობა

ამ თავის შესაბამისად, ნებართვის გაცემის ფასის გადამხდელი ვალდებულია დაიცვას საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნები.

მუხლი 27. ნებართვის გაცემის ფასთან დაკავშირებულ სადავო საკითხთა გადაწყვეტის წესი

1. ნებართვის გაცემის ფასთან დაკავშირებულ დავას წყვეტს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. სასამართლოში სარჩელის შეტანა არ ათავისუფლებს ნებართვის მფლობელს ნებართვის გაცემის ფასის გადახდისაგან.

თავი VI. კონტროლი სანებართვო პირობების შესრულებაზე. ნებართვის გაუქმება

მუხლი 28. კონტროლი სანებართვო პირობების შესრულებაზე

1. ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შესრულებას აკონტროლებს ნებართვის გამცემი ან მის მიერ განსაზღვრული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად.
2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის მიზნით, კონტროლის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირი უფლებამოსილია კალენდარული წლის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად განახორციელოს შემოწმება.

მუხლი 29. პასუხისმგებლობა სანებართვო პირობების დარღვევისათვის. ნებართვის გაუქმება

1. ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობისა და ნებართვის მფლობელთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.
2. ნებართვა შეიძლება ვადის გასვლამდე გაუქმებულ იქნეს:

ა) ნებართვის მფლობელის მოთხოვნის შემთხვევაში;

ბ) ნებართვის მფლობელის გარდაცვალების (ლიკვიდაციის), დადგენილი წესით გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან ქმედუუნაროდ ცნობის შემთხვევაში, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისისა;

გ) სანებართვო პირობების შეუსრულებლობისათვის;

დ) საქმიანობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

3. ნებართვის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. ნებართვის გაუქმება ფორმდება მისი გამცემის მიერ, რაც ეცნობება ნებართვის მფლობელს.
5. ნებართვის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სანებართვო მოწმობა უბრუნდება ნებართვის გამცემს.
6. სანებართვო მოწმობის ნებართვის გამცემის მიერ დადგენილ ვადაში ჩაუბარებლობისას მომსახურების განხორციელების შემთხვევაში მისი მფლობელი პასუხს აგებს უნებართვო საქმიანობისთვის.
7. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებში მითითებული გარემოებებისას ნებართვის გაუქმების შემთხვევაში, ნებართვის მფლობელს წარმოდგენილი საკონკურსო პირობების შესრულების ან სანებართვო პირობების შესრულების საბანკო გარანტია უკან არ უბრუნდება და ნებართვის გამცემი უფლებამოსილია გარანტისაგან მოითხოვოს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა.

თავი VII. უწყებრივი სანებართვო რეესტრი. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

მუხლი 30. უწყებრივი სანებართვო რეესტრი. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

1. უწყებრივ სანებართვო რეესტრს აწარმოებს ნებართვის გამცემი ან მის მიერ განსაზღვრული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული.
2. ნებართვის გამცემს ნებართვის გაცემის, მასში ცვლილებების შეტანის, მისი გაუქმების ან/და დუბლიკატის გაცემის შესახებ მონაცემები გადაწყვეტილების მიღებიდან 2 დღის ვადაში შეაქვს უწყებრივ სანებართვო რეესტრში.
3. უწყებრივ სანებართვო რეესტრში ასევე შეიტანება:
ა) მონაცემები ნებართვის მფლობელის შესახებ: ინდივიდუალური მეწარმისათვის ან იურიდიული პირისათვის (სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნისათვის) - მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის თაობაზე; ფიზიკური პირისათვის - სახელი, გვარი, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილების თაობაზე;
ბ) მონაცემები ნებართვის მფლობელის საფირმო სახელწოდების (სახელის, გვარის), ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, ადგილსამყოფელის შეცვლის ან რეორგანიზაციის შესახებ;
გ) სანებართვო მოწმობის ნომერი და გაცემის თარიღი;
დ) ნებართვის სახე.
4. ყველას აქვს უფლება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით გაეცნოს სანებართვო რეესტრის მონაცემებს და მიიღოს ნებართვებთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია.

თავი VIII. პასუხისმგებლობა უნებართვო საქმიანობისთვის

მუხლი 31. პასუხისმგებლობა უნებართვო საქმიანობისთვის

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მომსახურების განხორციელება შესაბამისი ნებართვის გარეშე გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად.

თავი IX. დასკვნითი დებულება

მუხლი 32. დასკვნითი დებულება

ამ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“

განმარტებითი ბარათი

2014 წლის 5 თებერვალს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75–ე მუხლის „ე.გ“ ქვეპუნქტით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას დაევალა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის, ნებართვის გაცემისთვის კონკურსის ჩატარებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა, „ე.ვ“ ქვეპუნქტით კი - ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემა. ამასთან, ორგანული კანონის 61-ე მუხლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებიდან ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად განისაზღვრა მხოლოდ საკრებულოს დადგენილება (ნაცვლად იქამდე მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული საკრებულოს გადაწყვეტილებისა), მერის ბრძანება და თბილისის მუყნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულება კი - ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებად. იმავე ორგანული კანონის 165-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით მუნიციპალიტეტების საკრებულოებს დაევალათ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან 6 თვის ვადაში თავიანთი ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით დღის წესრიგში დადგა „ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრისა და ნებართვის გაცემისთვის კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2010 წლის 29 ოქტომბრის №11-71 გადაწყვეტილების, „ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცებისა და ნებართვის გამცემის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის 22 ნოემბრის №31.02.1434 დადგენილებისა და „ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობისა და მასში გამარჯვებულის გამოვლენის კომისიის შემადგენლობისა და კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის 2 დეკემბრის №32.02.1497 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების აუცილებლობა და მათ ნაცვლად ახალი ნორმატიული აქტის მიღების აუცილებლობა.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

დადგენილების პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, ხოლო პროექტის წარმომდგენი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.